

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების შესახებ

1. "ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და ქალაქ თბილისის თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის დადგენილი წესით განხორციელება უზრუნველყოს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

2. დადგენილება ამოქმედდეს 2007 წლის 1 აგვისტოდან.

პრემიერ-მინისტრი

ზურაბ ნოღაიდელი